



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 367/3

28/12/2017

„საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 8 სექტემბრის №79/3 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“ და „პ“ ქვეპუნქტებისა და 278-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 8 სექტემბრის №79/3 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესის“ 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. შვებულება

1. პარლამენტის აპარატის მოსამსახურისათვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 24 სამუშაო დღის ოდენობით.

2. მოსამსახურეს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა თანამდებობაზე დანიშნიდან 11 თვის გასვლის შემდეგ. მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის თანხმობით მოსამსახურეს შვებულება შეიძლება ამ ვადის გასვლამდეც მიეცეს. თანამდებობაზე დანიშნიდან 1 წლის გასვლის შემდეგ მოსამსახურეს შვებულება კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს მიეცემა.

3. მოსამსახურეს უფლება აქვს, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შვებულება ნაწილ-ნაწილ გამოიყენოს.

4. მოსამსახურეს უფლება აქვს, კალენდარული წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით მომდევნო კალენდარულ წელს ისარგებლოს. ამ შემთხვევაში იგი ჯერ სარგებლობს წინა წლის გამოუყენებელი

შვებულების დღეებით, ხოლო შემდგომ – მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებით. ამასთანავე, წინა წლის გამოუყენებელი შვებულების პერიოდულობა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ პირთან უნდა შეთანხმდეს.

5. მოსამსახურის შვებულების შესახებ ბრძანებას გამოსცემს მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირი.

6. მოსამსახურეს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებისგარეშე შვებულებით არაუმეტეს 1 წლისა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პარლამენტის აპარატის ინტერესებს.“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

